საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 14 00729543

26/09/2014

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)"დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: თბილისი, რაზმაძის ქ.N15

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 18 სექტემბრის N632 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №7097127, 22.09.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს №218 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებული თანხა სხვა კატეგორიის სტუდენტებტან ერთად გადაეცემოდა 170 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; აქედან:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჭარის მუნიციპალიტეტში – 90 სტუდენტს;

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტს;
გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში – 5 სტუდენტს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს №218 დადგენილების შესაბამისად (და ამავე დადგენილებსი მე-6 მუხლის რეგულაციების თანახმად), სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა ზემოაღნიშნული კატეგორიის 164 სტუდენტმა. მათ შორის:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში – 57 სტუდენტმა;
ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 105 სტუდენტმა. მათ დასაფინანსებლად 2013-2014 სასწავლო წელს დაიხარჯა დაახლოებით 332 000 ლარი;
გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში – 2 სტუდენტმა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს №218 დადგენილება ასევე ითვალისწინებდა იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლო-ბაში სწავ-ლო-ბ-დნენ და სრული ზოგადი განათლების დამადას-ტუ-რებელი დოკუ-მენ-ტი მი-იღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვ-რის--პირა სოფლებში არსე-ბულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2013-2014 სასწავლო წელს პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 77 სტუდენტმა. მათ დასაფინანსებლად 2013-2014 სასწავლო წელს დაიხარჯა დახლოებით 162 000 ლარი;

აღნიშნული კატეგორიების გარდა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს №218 დადგენილება ითვალისწინებდა მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები სტუდენტების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილების, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლების, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი, სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებას. 2013-2014 სასწავლო წელს, პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსება სულ მოიპოვა 1411 სტუდენტმა. მათ შორის შესაძლოა არიან სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ შიდა ქართლში, თუმცა ამ ნიშნით მათი გამორჩევა სოციალური პროგრამის ფარგლებში (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე) არ განხორციელებულა.

ასევე გაცნობებთ, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ დაზარალებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსება 2013-2014 სასწავლო წელს დამატებით განხორციელდა „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხული არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N400 დადგენილების საფუძველზე. პროგრამის

ფარგლებში 2013-2014 სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა 471 დაზარალებულმა სტუდენტმა. მათი დაფინანსებისთვის დაიხარჯა დაახლოებით 900 000 ლარი.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის რეგულაციებით დადგენილ ღონისძიებებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე